წესები, რომლებიც სტუდენტმა უნდა დაიცვას
წერითი გამოცდის პროცესში

1. სტუდენტი (გამოსაცდელი) ვალდებულია საგამოცდო ცენტრში (საგამოცდო ცხრილში მითითებულ აუდიტორიაში) გამოცხადდეს მითითებულ დროზე 15 წუთით ადრე და გაიაროს რეგისტრაცია.
2. სტუდენტმა გამოცდაზე უნდა იქონიოს მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და საწერი კალამი.
3. სტუდენტი (გამოსაცდელი), რომელიც საგამოცდო ცენტრში გამოცხადდება დაგვიანებით (ტესტების დარიგების შემდეგ), გამოცდაზე არ დაიშვება.
4. გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ ის სტუდენტი, რომელიც შეყვანილია დეკანატის მიერ მომზადებულ უწყისში.
5. ტესტზე მუშაობის დაწყება შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც დასრულდება ტესტების დარიგება და დაიწყება საგამოცდო დროის ათვლა. ამის თაობაზე სტუდენტს (გამოსაცდელს) ეცნობება გამოცდის მეთვალყურისგან.
6. იკრძალება მერხზე ნებისმიერი ნივთის დადება გარდა სამუშაო ტესტისა და საწერი კალმისა.
7. სტუდენტს (გამოსაცდელს) შეუძლია გამოცდაზე იქონიოს წყალი მხოლოდ პლასტმასის ბოთლით.
8. სტუდენტი (გამოსაცდელი) გამოცდის დასრულებამდე 10 წუთით ადრე გაფრთხილდება საგამოცდო დროსთან დაკავშირებით, რათა დროულად დაასრულოს ტესტზე მუშაობა.
9. აკრძალულია ლექსიკონის, პეიჯერის, მობილური ტელეფონის, გამოცდაზე შეტანა. მათი თუნდაც გამორთულ მდგომარეობაში აღმოჩენის შემთხვევაში სტუდენტი (გამოსაცდელი) მოიხსნება გამოცდიდან. ტესტის სპეციფიკიდან გამომდინარე ნებადართულია სხვადასხვა ტესტური გამოცდებისათვის აუცილებელი ლიტერატურის (მაგ. კოდექსები, კალკულატორი) შეტანა (პედაგოგოს განცხადების საფუძველზე).
10. წესრიგის უხეში დარღვევის შემთხვევაში სტუდენტი (გამოსაცდელი) მოიხსნება გამოცდიდან შესაბამის ჩანაწერის გაკეთებით.
11. სტუდენტი (გამოსაცდელი) ვალდებულია დაემორჩილოს გამოცდის მეთვალყურის ნებისმიერ გადაწყვეტილებას, მათ შორის, გადაწყვეტილებას გამოცდიდან მოხსნის შესახებ.
12. აკრძალულია გამოცდის პროცესის დროს საუბარი, დახმარება. დახმარების გაწევის ან მიღების მცდელობის შემთხვევაში სტუდენტი (გამოსაცდელი) მოიხსნება გამოცდიდან.
13. დამხმარე მასალის გამოყენების შემთხვევაში სტუდენტი (გამოსაცდელი) მოიხსნება გამოცდიდან და სარეგისტრაციო უწყისში გაკეთდება შესაბამისი ჩანაწერი და არ გასწორდება ნაშრომი.

ყურადღება წერითი გამოცდის დროს:

1. დაუშვებელია შიფრის საწერი კალმით გაფერადება ან სხვაგვარი დაზიანება! ასეთ შემთხვევაში ნაშრომი არ გასწორდება.

2. არ გასწორდება იმ სტუდენტის (გამოსაცდელის) ნაშრომი, რომელიც სამუშაო ტესტს დააწერს სახელს, გვარს, ან პიროვნების იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველ რაიმე სხვა ინფორმაციას ან ისეთ გრაფიკულ გამოსახულებას, რომელიც დაკავშირებული არ არის ტესტურ დავალებასთან.

გისურვებთ წარმატებებს!

წესები, რომლებიც სტუდენტმა უნდა დაიცვას ელექტრონუოლი გამოცდის პროცესში

1. სტუდენტი (გამოსაცდელი) ვალდებულია საგამოცდო ცენტრში (საგამოცდო ცხრილში მითითებულ აუდიტორიაში) გამოცხადდეს მითითებულ დროზე და გაიაროს რეგისტრაცია სიით გამოძახების შემდეგ.
2. სტუდენტმა გამოცდაზე აუცილებლად უნდა იქონიოს მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.
3. სტუდენტი (გამოსაცდელი), რომელიც საგამოცდო ცენტრში გამოცხადდება დაგვიანებით გამოცდაზე არ დაიშვება.
4. გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ ის სტუდენტი, რომელიც შეყვანილია დეკანატის მიერ მომზადებულ
5. სტუდენტს (გამოსაცდელს) შეუძლია გამოცდაზე იქონიოს წყალი მხოლოდ პლასტმასის ბოთლით.
6. აკრძალულია ლექსიკონის, პეიჯერის, მობილური ტელეფონის, გამოცდაზე შეტანა. მათი თუნდაც გამორთულ მდგომარეობაში აღმოჩენის შემთხვევაში სტუდენტი (გამოსაცდელი) მოიხსნება გამოცდიდან. ტესტის სპეციფიკიდან გამომდინარე ნებადართულია სხვადასხვა ტესტური გამოცდებისათვის აუცილებელი ლიტერატურის (მაგ. კოდექსები, კალკულატორი) შეტანა პედაგოგოს განცხადების საფუძველზე.
7. წესრიგის უხეში დარღვევის შემთხვევაში სტუდენტი (გამოსაცდელი) მოიხსნება გამოცდიდან შესაბამის ჩანაწერის გაკეთებით.
8. სტუდენტი (გამოსაცდელი) ვალდებულია დაემორჩილოს გამოცდის მეთვალყურის ნებისმიერ გადაწყვეტილებას, მათ შორის, გადაწყვეტილებას გამოცდიდან მოხსნის შესახებ.
9. აკრძალულია საგამოცდო ცენტრის დატოვება გამოცდის მსვლელობისას.
10. აკრძალულია გამოცდის პროცესის დროს საუბარი, დახმარება. დახმარების გაწევის ან მიღების მცდელობის შემთხვევაში სტუდენტი (გამოსაცდელი) მოიხსნება გამოცდიდან.
11. დამხმარე მასალის გამოყენების შემთხვევაში სტუდენტი (გამოსაცდელი) მოიხსნება გამოცდიდან და სარეგისტრაციო უწყისში გაკეთდება შესაბამისი ჩანაწერი, რაც აუქმებს გამოცდის შედეგს.

გისურვებთ წარმატებებს!